

კალათბურთი

კალათბურთის ნაკრებს უნივერსიტეტში დიდი ხნის ისტორია აქვს და მრავალი გამარჯვება მოუპოვებია. წლების მანძილზე უნივერსიტეტის კალათბურთელები არაერთგზის იყვნენ საუნივერსიტეტო, თუ საქართველოს ჩემპიონები. უკანასკნელი მონაცემებით: 2009–2010 წლის სუპერლიგის – ჩემპიონები და ამავე წელს საქართველოს თასის მფლობელები გახდნენ.

დღეს, სპორტული ცენტრის ახალი ინიციატივით, აგრარული უნივერსიტეტის კალათბურთელათა სტუდენტური ნაკრები ჩამოყალიბდა, რომელის მოთამაშე-მწვრთნელია აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი და საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე კონსტანტინე ფათრეკაშვილი.

